

## მეფე ალექსანდრე

### პროლოგი

ბიზანტიური ლიტერატურის თხზულებათა შორის, რომლებიც ანტიკური სიუჟეტების გადამუშავებას წარმოადგენენ, ე. წ. საშუალო დონის მკითხველთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ვრცელი პოემა, რომელშიც ალექსანდრეს ცხოვრება და საქმენი იყო აღწერილი. იგი ექსპიათასზე მეტი ტაეპისაგან შედგება.

ეს მოთხრობა გადმოგვცემს ალექსანდრეს ცხოვრებას, როგორ დაიბადა და როგორ გაიზარდა, მოგვითხრობს მის მიერ აღსრულებულ დიდთა საგმიროთა საქმეთა და მისი აღსასრულის შესახებ. ეგვიპტელებმა ეს ყოველივე ძველთაგანვე გადმოგვცეს. იგი იყო მეფე მაკედონელთა, ყოველმხრივ შემკობილი დახელოვნებული მჭევრმეტყველებაში, ფრთოსანი ჯიქი და მრისხანე ლომი, უძლეველი ბრძოლათა შინა, მთელს ქვეყანასა ზედა სახელგანთქმული და დიდი. წარმატება მუდამ თან სდევდა და ბრძნული ჭკრეტა.

ღირსეულ კაცებს, რომელთაც ძველად ელადა განადიდეს, იმდენად აღემატებოდა ფიზიკური ძალით, კეთილშობილური გულით, სიმამაცითა და გონიერებით, რამდენადაც ნათელი მზისა აღემატება ვარსკვლავთა ციმციმს. მტრებს მოუღლელად ებრძოდა და ბარბაროსთა ლაშქრებს ამხობდა. მას ვერავინ შეედრებოდა, მისი მსგავსი არავინ იყო, არც წარსულში, არც აწმყოში და არც მომავალში იქნება.

შესავლის შემდეგ ავტორი ალექსანდრეს ცხოვრების გადმოცემას მისი შობით იწყებს. ეგვიპტეში ძველთაგანვე მკვიდრობდა სწავლული და ბრძენი ტომი. ერთ-ერთ მათგანს ეკუთვნოდა ონესიკრიტოსი,

წარმოშობით ასირიელი. მან ალექსანდრეს შესახებ მრავალი და დანვრილებითი ცნობა გადმოგვცა.

როგორც ამბობდნენ, მომავალი მეფის მამა ბედკრული ჰეკტანები ყოფილა, ხოლო დედა – ოლიმპიადა, ულამაზესი მეფე ფილიპეს ცოლთა შორის, მაგრამ ჰეკტანებს იგი ეშმაკური ტყუილით მოუხიბლავს. ქალმა ვერ გაუძლო მისი ჯადოქრობის ხელოვნებას და მისგან ალექსანდრე შვა, ვინც შემდეგში კაცი კეთილშობილი, მძლავრი ლომი, გოლიათი და ყველას მეუფე გახდა.

მაშინ ჰეკტანები მართავდა ეგვიპტეს, მაგრამ იგი კეთილი მეფე არ ყოფილა, მშვენიერი, ნაყოფმრავალი ქვეყანა ხელში ჯადოქრობის ხელოვნებით და მკითხაობით ჩაიგდო. მიუხედავად იმისა, რომ არც სატრაპებს ნიშნავდა, არც ლაშქარს კრებდა, არც იარაღს ჭედდა, არც ლაშქრობებს აწყობდა და არც ხომალდებს აღკაზმავდა საბრძოლველად, ეგვიპტეს თავისი ჯადოქრული ძალით მრავალი წლის განმავლობაში მაინც მართავდა. ხოლო უკეთუ რომელიმე მტერი თავდასხმას განიზრახავდა, მაგიის ძალით იგერიებდა, ჯერ მის ჩანაფიქრს და საომარ სამზადისს ანადგურებდა და შემდეგ დაუძლურებულ მტერზე იმარჯვებდა.

ავტორი იმის შესახებაც მოგვითხრობს, კერძოდ, მაგიისა და ჯადოქრობის რომელ ხერხს იყენებდა. ღრმა თასს წყლით ავსებდა, შემდეგ ფუტკრის ცვილისაგან ხომალდებსა და მრავალ ადამიანს ძერწავდა, და წყლიან თასში უშვებდა. თვითონ, ვითარცა წინასწარ-მეტყველი, ფართო სამოსით იმოსებოდა, სპილოს ძვლისაგან ნაკეთებ კვერთხს ხელს მაგრად უჭერდა, რაც შეიძლებოდა, ახლოს დგებოდა თასთან და ხმამაღლა მოუწოდებდა ღმერთებს, ჰაერის დემონებსა და სულებს მინისტვეშეთიდან დასახმარებლად. როცა ყველა სული

შეიკრიბებოდა, ცვილის ხომალდები თავიანთ მეზღვაურებთან ერთად თასის სიღრმეში იძირებოდნენ და ილუპებოდნენ.

მიუხედავად ამისა, ჰეკტანები მაინც დაშინდა და როცა მაგიის დახმარებით წინასწარ შეიტყო, რომ მის ქვეყანაზე სპარსეთი გამოილაშქრებდა, მაკედონიაში გაიქცა. იქ დახელოვნებული მოგვის სახელი მოიხვეჭდა და ოლიმპიადასთან შეაღწია. დედოფალი დარწმუნებული იყო, რომ მისი ვაჟი ღმრთეებრივი წარმოშობისა იყო, რადგან მაგიის გამოყენების შედეგად, ჰეკტანები მას ღმერთი ამონის სახით გამოეცხადა. ლაშქრობიდან დაბრუნებული მეფე ფილიპეც ჰეკტანების გავლენის ქვეშ მოექცა და მანაც ირწმუნა, რომ მის შვილს ღმრთეებრივი წარმომავლობა ჰქონდა.

ალექსანდრემ ყრმობაშივე გამოამყლავნა უჩვეულო ძლიერება, სიმამაცე და გონიერება. ყრმობაში აღსრულებულ საქმეებს მიეკუთვნება ველური ცხენის – ბუკეფალის გახედვნა, ოლიმპიურ შეჯიბრებებში გამარჯვება, საუბარი დარიოსის ელჩებთან, რომლის დროსაც ყრმისთვის უჩვეულო გონიერება გამოამყლავნა, ნაჩხუბებული მშობლების შერიგება და სხვა.

ტახტზე ასვლის შემდეგ ალექსანდრემ თავის სამეფოს გაძლიერებაზე ზრუნვა უწინარესად სპარსეთზე გალაშქრებით დაიწყო და წარმატებასაც მიაღწია.

ალექსანდრესგან დამარცხებული სპარსელები მდინარე სტრანგისაკენ გაიქცნენ, ყველას დარიოსის ეტლმა გაუსწრო, იგი მდინარესთან პირველი მივიდა. სტრანგი ყინულით იყო დაფარული. სპარსელები გაყინულ მდინარეზე გადასვლას შეეცადნენ, მაგრამ ყინულმა დნობა დაიწყო და ბევრი მათგანისათვის მდინარის ტალღები ცივ სამარედ იქცა. ხმელეთზე დარჩენილები მაკედონელთა მახვილებმა იმსხვერპლეს.

გაქცეული დარიოსი თავის დედაქალაქსა და სამეფო დარბაზებს დაუბრუნდა, პირქვე დაემხო და მწარედ ატირდა. მან დალუბა სპარსელთა ლაშქარი და მასთან ერთად მისი ძველი დიდებაც, ხოლო მშობლიური მხარე უდაბნოდ აქცია. ის, ვინც მრავალი ხალხის მეფე იყო და ბატონი მრავალი მხარისა და ქალაქისა, ვინც თანამოსაყდრე ღმერთებისა და ბრწყინვალეებით მზის სწორი იყო, ახლა საბრალო ლტოლვილად ქცეულიყო. თავის უბედურებაში იგი ბედს ადანაშაულებდა, რომელსაც შეუძლია ადამიანი მიწის მტვერიდან ვარსკვლავებამდე აღამაღლოს, ხოლო ამალღებული სიბნელის უფსკრულში ჩააგდოს.

დარიოსმა საკუთარი ხელით დანერილი წერილი გაუგზავნა ალექსანდრეს, რომელშიც სწერდა შეეხედა ბედის ბორბლისათვის, დროის დინებისათვის, რომელიც მწვერვალიდან დაბლა ეშვება და მიწიდან მწვერვალისკენ მიისწრაფვის, ერთნი მაღლა აჰყავს, ხოლო მეორეებს ამხობს, თუმცა საბოლოოდ ყველას მიწა ელოდება. ალექსანდრეც ადამიანი იყო და მასაც ისეთივე აღსასრული ექნებოდა, როგორც ყველას. წერილში დარიოსი იხსენებდა ქსერქსესაც, მის სახელგანთქმულ, მაგრამ ქედმაღალსა და თავგასულ წინაპარს, რომელმაც მთელი ელადის განადგურება განიზრახა, მაგრამ სიმდიდრეც დაკარგა და ურიცხვი მეომარიც დალუბა. ამიტომ სპარსეთის მეფე ალექსანდრეს სთხოვდა გონივრული გადაწყვეტილება მიეღო, თანაგრძნობა გამოეჩინა და ტყვეებად წაყვანილი დედა, მეუღლე და ქალიშვილები დაებრუნებინა იმ უამრავი ოქროს ფასად, რომელსაც მათ გამოსასყიდად გაიღებდა. გარდა ამისა, სთავაზობდა სპარსელთა და მიდიელთა ზედა გამეფებას.

ალექსანდრემ წერილი წაიკითხა და მოინდომა, ყველას სცოდნოდა რას სწერდა დარიოსი. მხედართმთავარმა პარმენიონმა ურჩია მიეღო

საგანძური და მეფობა და მისი ოჯახის წევრები დარიოსისათვის დაებრუნებინა, ოღონდ მანამდე მისი ქალიშვილების სარეცელი გაეზიარებინა. პასუხად ალექსანდრემ განაცხადა, რომ დარიოსი იმას სთავაზობდა, რაც უკვე აღარ ჰქონდა, ანუ ქვეყანას, რომელსაც უკვე აღარ ფლობდა, მაშინ, როცა, დამარცხებულის ქვეყანაცა და საგანძურიც, როგორც გამარჯვებულს, ისედაც მას დარჩებოდა. ხოლო რაც შეეხებოდა პარმენიონის წინადადების დარიოსის ქალიშვილებთან დაკავშირებით, საერთოდ უარყო, რადგან არ სურდა მათი სილამაზის გავლენის ქვეშ მოქცეულიყო.

ალექსანდრემ სპარსეთის მეფის წინადადება არ მიიღო და დაედევნა, რათა საბოლოოდ გაენადგურებინა. მან ლაშქარით სწრაფად გაიარა მიდიელთა ქვეყანა, სადაც დარიოსი კერძოდ, კასპიის ჭიშკრის მახლობლად იმყოფებოდა. როცა სპარსეთის სატრაპებმა არიობაზმა და ბესმა შეიტყვეს, რომ ალექსანდრე უახლოვდებოდათ, თავიანთი მეფის მოკვლა გადაწყვიტეს, რადგან ეგონათ, რომ ამ გზით ალექსანდრეს კეთილგანწყობილებას მოიპოვებდნენ. მახვილებით შეიარაღდნენ და დარიოსთან შევიდნენ. მეფემ ნაღვლიანად შეხედა მათ, განზრახვას მიუხვდა და სთხოვა, მაკედონელებზე უარესად ნუ მოექცეოდნენ, მიეცათ მისთვის საშუალება თავისი მწარე ხვედრის დატირებისა; გარდა ამისა, ისიც უნდა გაეთვალისწინებინათ, რომ ალექსანდრე მეფე იყო და მეფის მოკვლას არ მოუწონებდათ. მისი თხოვნა შეუსმენელი დარჩა. მაშინ დარიოსმა რომელიც ძალითაც გამოირჩეოდა და სიმამაცითაც, თავის დაცვა სცადა და მოქნეული მახვილი აიცილა, მაგრამ ბოროტმოქმედებმა ხელშუბი ჩასცეს. ამ დროს ალექსანდრემაც მოაღწია ლაშქართან ერთად და სასწრაფოდ სპარსელთა სამეფო კარავს მიაშურა. როცა მოღალატე სატრაპებმა იგი დაინახეს, თავზარდაცემულები გაიქცნენ და ნახევრად-მკვდარი დარიოსი მიატოვეს. ალექსანდრემ სისხლში ამოსვრილი სულთ-

მოზრდავი მეფის ხილვას ვერ გაუძლო და მწარე ცრემლთა ნაკადი წასკდა თვალებიდან და ჭრილობის თავისი მოსასხამით დაფარვას შეეცადა.

მომაკვდავმა დარიოსმა შეძლო ალექსანდრესათვის ეთქვა, რომ თუმცა მან დიდებას მიაღწია და ღმერთებს გაუთანაბრდა, ყოველთვის გაეთვალისწინებინა მომავალი, რადგან არავინ იცის რას უმზადებს ბედის ცვალებადობა, რომელიც მისსავე ამალღებულს თვითონვე ამხობს, რაც თავისთავზეც გამოსცადა. ამის შემდეგ მან ალექსანდრეს სთხოვა, ისე დაესაფლავებინა, როგორც ეს მეფეს შეეფერებოდა; ასევე სთხოვა, დედამისს როგორც საკუთარ დედას – ოლიმპიადას ისე მოქცეოდა, მის მეუღლეს თანაგრძნობით მოპყრობოდა, ხოლო ასული როქსანა, რომელიც იშვიათი სილამაზით ბრწყინავდა, ცოლად შეერთო.

სპარსეთის დამარცხების შემდეგ ალექსანდრე ინდოეთის საზღვრების გავლით სემირამიდას სამეფო ქალაქისაკენ გაემართა, რომლის სახელიც, ვითარცა სილამაზითა და სიმდიდრით გამორჩეულის, ძველთაგანვე ქუხდა. მას სილამაზითა და გონიერებით ცნობილი, მეფე კანდაკის ქვრივი დედოფალი მართავდა. ალექსანდრემ მას წერილი გაუგზავნა, რომელშიც სწერდა, რომ გაგონილი ჰქონდა მის ქვეყანაში საუცხოო სამსხვერპლოს არსებობის, ხოლო ინდოეთში ღმრთეების გამოსახულებისა და გმირთა ქანდაკებების შესახებ, რომელთა ნახვაც მძაფრად სწყუროდა. გარდა ამისა, შეახსენებდა, რომ ეგვიპტე, მრავალი წლის განმავლობაში მათი ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა და მათ მიერ მკაცრად იმართებოდა, რის გამოც ახლა ხარკის გადახდას ითხოვდა, ხოლო უარის შემთხვევაში ომით ემუქრებოდა. საპასუხო წერილში კანდაკემ ალექსანდრეს შეახსენა, რომ მას არასოდეს ენახა ეთიოპიელნი და არც ის იცოდა, რა ფერის კანი ჰქონდათ მათ. მაგრამ სულიერი სილამაზით ისინი ბევრად სჯობდნენ მის თეთრკანიან ჯარისკაცებს. ეთიოპიას საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯარიც ჰყავდა მტერთა

მოსაგერიებლად, ხოლო რაც შეეხებოდა ხარკის გადახდას, დედოფალი მას მისივე მოციქულების ხელით საჩუქრად უგზავნიდა ხუთას წმინდა ოქროს ფირფიტას, ეთიოპელ ყმანვილებს, ხუთას ლამაზ სფინქსს, ოქროსგან ჩამოსხმულ გვირგვინს, მარგალიტებითა და იაკინთებით შემკულს, ათ ჩუქურთმებიან ქვას და ათ სტატერს, ავ მონადირე ძაღლებს, ოცდაათ ხარს, ბრძოლებში ნაცადს, ათ ჯიქს, მოლაყბე თუთიყუშებს, ათასს მშვენიერ თასს; დამზადებულს სპილოს ძვლისაგან, სამასი ჯიქის ტყავს, ხუთ სპილოსა და მათ სამას ეშვს.

რამდენიმე დღის შემდეგ კანდაკეს უფროსი ვაჟი, კანდავლი მცირე რაზმით ამაზონებთან მიდიოდა არესის დღესასწაულზე მისთვის მსხვერპლის შესანიშნავად მეუღლესთან ერთად, მაგრამ გზაში ბებრიკები დაესხნენ თავს და მეუღლე მოსტაცეს, თვითონ გაქცევით უშველა თავს და მოულოდნელად ალექსანდრეს ბანაკში მოხვდა. დარაჯებმა იგი პტოლემეაიოსს მიჰგვარეს, რომელიც ალექსანდრეს შემდეგ ყველაზე დიდი ძალაუფლებით სარგებლობდა. პტოლემეაიოსმა მოისმინა რა კანდავლოსის თავგადასავალი, მის შესახებ ალექსანდრეს მოახსენა, ალექსანდრემ თავიდან გვირგვინი მოიხსნა, პტოლემეაიოსს დაადგა თავზე, სამეფო მანტია მოასხა, ტახტზე დასვა და უთხრა, რომ ის იქნებოდა ალექსანდრე, ხოლო თვითონ ანტიგონი, მისი მრჩეველი. როცა კარავში კანდავლი შემოიყვანეს და ცრუ ალექსანდრემ თავის მრჩეველს ჰკითხა რა გადანყვეტილება მიეღოთ კანდავლთან დაკავშირებით, ცრუ ანტიგონმა ურჩია, ლაშქრით დასხმოდნენ თავს ბებრიკებს და წართმეული ცოლი დაებრუნებინათ კანდავლისათვის. ამით მეფე ეთიოპიის დედოფალსაც მიაგებდა პატივს და თავის იარაღსაც კიდევ ერთხელ შესძენდა სახელს.

ანტიგონის ანუ ალექსანდრეს გადანყვეტილებით, ბებრიკების ქალაქს ღამით დაესხნენ თავს, სახლებში ჩირაღდნები შეაგდეს ხანძრის

გასაჩინად და თან ყვიროდნენ, სასწრაფოდ დაებრუნებინათ კანდავლისათვის მისი მეუღლე. მაშინ თვით ხალხი შევარდა მეფის სასახლეში, გამოიყვანეს კანდავლის ცოლი და ქმარს დაუბრუნეს. გახარებულმა კანდავლემ ანტიგონი – ალექსანდრე თავის ქვეყანაში დაპატიჟა, დედასთან წარსადგენად. ალექსანდრე სიხარულით დათანხმდა.

შინ დაბრუნებულ კანდავლეს დედა–დედოფალი, ნათესავები და მახლობლები დიდი სიხარულით შეეგებნენ, ხოლო როცა მისგან ანტიგონის დამსახურების შესახებ შეიტყვეს, სტუმრის მიმართ განსაკუთრებული სითბო და პატივისცემა გამოხატეს საღამოს გამართულ მდიდრულ ნადიმზე თავად დედოფალი კანდაკეც მობრძანდა; თუმცა იგი ახალგაზრდა აღარ იყო, მაგრამ ყველა გააოცა ქალღმერთის მსგავსი წარმოსადგეობით. მისმა ხილვამ ალექსანდრეს დედა-ოლიმპიადა მოაგონა.

რამდენიმე დღის შემდეგ კანდაკემ „ანტიგონი“ თავისთან იხმო. დედოფლის მოსასვენებელში იმდენი ძვირფასი აღმასი ელვარებდა, ალექსანდრეს მოეჩვენა რომ ოთახში თავად მზე ბრწყინავდა. სასახლის უჩვეულო სიმდიდრით გაოცებულმა ალექსანდრემ დედოფალს უთხრა, რომ, მართალია, მისი ქვეყანა მზის მსგავსი და გაუგონარი სიმდიდრის მფლობელი იყო, მაგრამ ეთიოპელებს არ ჰქონდათ რა ბრძნული ცოდნა, მაინც ბარბაროსები იყვნენ.

დედოფალს თუმცა ეწყინა, მაგრამ ალექსანდრეს (ნამდვილი სახელით მიმართა) მაინც უთხრა, რომ მართალს ამბობდა. მეფემ შეახსენა, რომ იგი ანტიგონი იყო და არა ალექსანდრე, მაგრამ კანდაკემ თავის საძინებელში შეიყვანა და მისი სურათი აჩვენა, რომელიც მხატვარს დიდი ოსტატობით დაეხატა. ალექსანდრე მიხვდა, რომ წინააღმდეგობის განწევას უკვე აზრი აღარ ჰქონდა. მაშინ დედოფალმა უთხრა, რომ უზომოდ ქედმაღალსა და გაყოყოჩებულ ადამიანს ვინმე მასზე უფრო ეშმაკი ოდესმე აუცილებლად



შეხვედებოდა, როგორც ახლა მან გააბა. სიბრაზისაგან ალექსანდრემ კბილები დააღრჭიალა, მისმა სიტყვებმა ალექსანდრე შეაშინა და მახვილს ხელი სტაცა, რათა თავიც მოეკლა და დედოფალიც, მაგრამ იგი განზრახვას მიუხვდა და უთხრა, რომ ისე დაიცავდა, როგორც მან დაიცვა მისი შვილი და მეუღლე ბებრიკებისაგან და თავის ლაშქარს უვნებელი დაუბრუნდებოდა.

მან თავის ვაჟს კანდავლეს უხმო და უთხრა, რომ მეფე ალექსანდრე რომ არ დახმარებოდა, ვერც ის, და ვერც მისი ძმა ბებრიკებზე შურისძიებას და მისთვის ცოლის დაბრუნებას ვერ შეძლებდნენ. ამიტომ ისინი მოვალენი იყვნენ სამაგიერო მიეზლოთ ალექსანდრესათვის და მისი ელჩი ანტიგონი უხვი საჩუქრებითურთ, რაც შეიძლება სწრაფად დაებრუნებინათ მისთვის. მაგრამ დედოფალს მეორე შვილი არ დაეთანხმა, რადგან, მართალია, ალექსანდრე მის ძმასა და რძალს დაეხმარა, მაგრამ მას თვითონ ჰყავდა მოკლული მისი ცოლის მამა, ინდოეთის მეფე პორი და ახლა მისი მეუღლე შურისძიების მიზნით მისი ელჩის ანტიგონის მოკვლას აპირებდა.

მაშინ „ანტიგონს“ კანდავლე გამოესარჩლა და განაცხადა, რომ მზად იყო მის დასაცავად საკუთარ ძმას შებრძოლებოდა. შეშინებულმა დედოფალმა დახმარება ალექსანდრეს სთხოვა, მან მართლაც შეძლო ძმების შეჩერება და შერიგება, რადგან განუმარტა, რომ მისი მოკვლით ალექსანდრეს, რომელსაც მისნაირი ბევრი ჰყავდა, ვერაფერს დააკლებდნენ, ხოლო თუ ცოცხალს გაუშვებდნენ, ალექსანდრეს ჩაუგდებდა ხელში, რადგან დაარწმუნებდა, მათთან მადლობის პირადად მოსასმენად და საჩუქრების მისაღებად თვითონ მისულიყო.

დედოფალმა ალექსანდრეს მრავალი ძვირფასი საჩუქარი უძღვნა და ისინი გულთბილად, როგორც დედა და შვილი, ისე გამოეთხოვნენ ერთმანეთს.

ამასობაში ანტიპატრე, რომელსაც ალექსანდრემ სამართავად მაკედონია ჩააბარა, ოლიმპიადას დაუპირისპირდა. ოლიმპიადამ შვილს მისწერა იმ შეურაცხყოფათა შესახებ, რომელთაც მას ანტიპატრე აყენებდა. ეს რომ შეიტყო, ალექსანდრე ელადაში დაბრუნდა და კრატერს უბრძანა ოლიმპიადას დადგომოდა გვერდით და მისი მრჩეველი და დამხმარე გამხდარიყო.

ანტიპატრე შეშინდა, რადგან კრატერი თავისი ჯარით მაკედონიას უკვე უახლოვდებოდა და საკუთარი თავის გადასარჩენად ალექსანდრეს მოკვლა გადაწყვიტა. მან იშოვნა სანამლავი, თუმცა დიდხანს ვერ გამონახა მისთვის სათავსო, რადგან ყველა ჭურჭელი, რომელსაც კი სანამლავი შეეხებოდა, იშლებოდა, თიხისა იქნებოდა ის, თუ სპილენძისა. ბოლოს ტყვიის კოლოფში ჩადო, ხოლო კოლოფი – რკინის ყუთში, მაგრად შეკრა და შვილს გაატანა ბაბილონში, თან მეფის სუფრაჯ იულთან დამეგობრება უბრძანა. ეს იული თავს მართლაც თვლიდა ალექსანდრესაგან შეურაცხყოფილად, რადგან მან შემთხვევით დატრყმის შედეგად თავზე ჭრილობა მიაყენა. ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ იულმა ალექსანდრეს მიმართ წყენა გულში ჩაიხვია, ანტიპატრეს ცილისწამებანი დაიჯერა და დანაშაულის ჩადენაზე დათანხმდა. სასახლის კარზე იყო ვინმე მედიასი, ასევე განაწყენებული ალექსანდრეზე, შეთქმულებმა ისიც შეიამხანაგეს. იული შეუთანხმდა მას, რომ მეფისათვის სანამლავი ღვინით მიეცათ, როცა ყველანი ნადიმზე შეიკრიბებოდნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ სატრაპი მედიასი ალექსანდრეს ესტუმრა, მეორე დღისთვის შინ ნადიმზე მიიწვია და დიდი თხოვნისა და ვედრების შემდეგ სტუმრობაზე დაითანხმა. მეფე ნადიმზე თავის მრავალრიცხოვან სატრაპებთან ერთად მივიდა. ავტორი იმ სატრაპთა სახელებს ჩამოთვლის, რომელთაც შეთქმულების შესახებ არაფერი იცოდნენ. როცა

ნადიმი დაინყო, იულმა მეფის სუფრაზე თასებით ყველას სუფთა, მოუნამლავი ღვინო მიართვა, ხოლო როცა მონადიმენი ჯგუფებად დაიშალნენ და სმაც ნელ-ნელა, ყლუპობით დაინყეს, ალექსანდრეს მონამლული ღვინით სავსე თასი მაშინ მიანოდა. დალია თუ არა, მეფემ საშინელი ტკივილისაგან წამოიყვირა და რადგან ტკივილი არ გაუჩერდა, ნადიმი დატოვა, მართალია, მან დანარჩენებს სთხოვა ლხინი ჩვეულებრივად გაეგრძელებინათ, მაგრამ იგი მაშინვე შეწყდა.

როცა მეფე მიხვდა, რომ აღსასრული უახლოვდებოდა, მეუღლეს როქსანას მოუხმო დასახმარებლად და მასზე დაყრდნობილი სატახტო დარბაზში შევიდა, მაგრამ იქ ძალა სრულიად გამოეღია და საწოლზე დაეცა. მან სატრაპები: პერდიკე, პტოლემეაიოსი და ლისიმაქე იხმო, რათა თავისი უკანასკნელი განკარგულებანი ჩაეწერათ.

როცა მაკედონელებმა ალექსანდრეს ავადმყოფობის შესახებ შეიტყვეს, ამბოხებულები სასახლისაკენ გაიქცნენ და მეფის ბანაკში გადაყვანა მოინდომეს, მაშინ ალექსანდრემ პერდიკეს უბრძანა, მისი საწოლი ღია კარავში გადაეტანა და საწოლის წინ ლაშქარს მწყობრად ჩაეკლო, რათა მისი დანახვა ყველას შეძლებოდა. პერდიკემ მისი ბრძანება შეასრულა. ხედავდნენ რა მომაკვდავ მეფეს, მაკედონელები ცრემლებში იხრჩობოდნენ, თავსა და მკერდში ხელებს იცემდნენ და ქვითინით ამბობდნენ:

ჰოჲ ალექსანდრევ, ჩვენო გონიერო, სიტყვის ხელოვანო, მაკედონელთა სიქადულო, ელინთა – დიდებაო, სწრაფად მფრინავო არწივო ჩვენო, ლომო უძლიერესო – შენ უნდა მოკვდე, როგორც ადამიანი?

ალექსანდრემ ანდერძად დაიბარა, რომ უკეთუ როქსანას ვაჟი დაეზადებოდა, გაემეფებინათ, ხოლო თუ გოგონა, ცოლად იმისთვის მიეცათ, ვინც მეფობას შეძლებდა.